შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ყოველი დავალების პირობას და ისე შეასრულეთ დავალებები.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის მესამე ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

ყურადღება!!! გასწორდება მხოლოდ ჩვენ მიერ მოწოდებული პასუხების ფურცელი.
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.
გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

(თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.)

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს ზემო იმერეთის სოფელ ცხრუკვეთში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტში საიდანაც მოხდა მისი გარიცხვა, რათა აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. მიხაკო წერეთელს რომელსაც ძალიან საუკეთესო ევროპული განათლება ქონდა მიღებული სორბონის, ჟენევისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდა გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში.

ბოლშევიკურ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო მიხაკო წერეთელი იძულებული გახდა, რომ სამუდამოდ დაეტოვებია სამშობლო. ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი ნაყოფიერად მოღვაწეობდა. იგი არჩეული იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეცნიერო საზოგადოებების ნამდვილ წევრად. გარდა ამისა იგი იყო „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ დაფუძნების ერთ-ერთი მოთავე. მეორე მსოფლიო ომის წლებში მიხაკო წერეთელის ძალის-ხმევით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებისგან ასობით ქართველი განთავისუფლდნენ. სახელოვანმა მეცნიერმა და მამულიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში. 1963 წელს პარიზში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ რომელიც გამოსაცემად მოამზადა მიხაკო წერეთელმა. 1975 წელს გამოვიდა პოემის მისეული პროზაული თარგმანი გერმანულ ენაზე. 1945 წელს იგი საცხოვრებლათ გადავიდა მიუნხენში სადაც განაგრძობდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მიხაკო წერეთელი დაკრძალულია საფრანგეთში ლევილის სასაფლაოზე.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ სასკოლო განათლების მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ლიდერის თვისებების ჩამოყალიბება.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

1.

ავთანდილი სწერს მეფე როსტევანს:

1. „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლად თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.
2. რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.
3. წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ!
„სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ.
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ?!
4. ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი, შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი
ღმერთად;
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.
5. რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების,
მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების;
თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვენების;
მე ვით გავძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!
6. რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა;
აწ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა;
სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!
7. არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა;
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.
8. რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენვე გნახნე მხიარულნი, დიდებით და დავლა-მრავლად!
მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.
9. მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუ, თუ წასლვამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **3. *რასნიშნავს ავთანდილის ნათქვამი:*** „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა“?

ა) გადაწყვეტილება საბოლოოა და მას ვერ შევცვლი.

ბ) ვწუხვარ, რომ ჩემი გადაწყვეტილებით ტკივილი მოგაყენე.

გ) ვფიქრობ, მოგიწევს ჩემი არასწორი გადაწყვეტილების დაგმობა.

დ) მჯერა, რომ ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნდები.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 4. *რა აზრი გამოიხატება სიტყვებით:* „რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა“?

ა) სიცრუე მიუღებელია საზოგადოებისათვის.

ბ) სიცრუეს ფილოსოფოსი არასოდეს იკადრებს.

გ) სიცრუე ყოველგვარი უზნეობის სათავეა.

დ) სიცრუის თქმა ხანდახან გარდაუვალია.

დაბრუნება ტექსტზე

(1) **5. *რა იგულისხმება სიტყვებში:*** „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“**?**

ა) იმისათვის ვსწავლობთ, რომ ვიცხოვროთ ქრისტეს მოციქულების მსგავსად.

ბ) იმისათვის ვსწავლობთ, რომ მატერიალური თვალსაზრისით კარგად ვიცხოვროთ.

გ) იმისათვის ვსწავლობთ, რომ მეგობრის დახმარება უკეთ შევძლოთ.

დ) იმისათვის ვსწავლობთ, რომ სამყაროს უზენაეს წესრიგს შევერწყათ.

დაბრუნება ტექსტზე

(1) **6. *რომელ* მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი სტრიქონში:** „სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ“**?**

ა) ალეგორიას.

ბ) ეპითეტს.

გ) ირონიას.

დ) შედარებას.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 7. IV სტროფის მიხედვით, *რა* უნარით დააჯილდოვა ღმერთმა ადამიანი?

ა) არ დაემონოს სიმდიდრეს და იზრუნოს სულზე.

ბ) არ თქვას უარი საკუთარი სამშობლოს დაცვაზე.

გ) არ შეეპუოს დაბრკოლებებს და დაამარცხოს მტერი.

დ) არ შეუშინდეს მტერს და დაიცვას საკუთარი სატრფო.

დაბრუნება ტექსტზე

(1) **8. IV სტროფის მიხედვით, *როგორ*ახასიათებს ავტორი ღმერთს?**

ა) ის არის მიჯნურობის უნარის მომნიჭებელი უხილავი ძალა.

ბ) ის არის უხილავი ძალა, რომელმაც მრავალფეროვანი სამყარო შექმნა.

გ) ის არის უხილავი ძალა, რომელმაც ყოველი ხელმწიფე მოავლინა.

დ) ის არის ყოველი მიწიერი არსების შემწე უხილავი ძალა.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 9. ღმერთის *რომელი* თვისების შესახებ საუბრობს ავტორი IV სტროფში?

ა) სიკეთის.

ბ) შემწყნარებლობის.

გ) ყოვლისმცოდნეობის.

დ) ყოვლისშემძლეობის.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 10. V სტროფის *რომელი* სტრიქონი გამოხატავს აზრს, რომ, რაც ხდება, ყველაფერი ღვთის ნებაა?

ა) I სტრიქონი.

ბ) II სტრიქონი.

გ) III სტრიქონი.

დ) IV სტრიქონი.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 11. *რა აზრის გამოსახატავად სჭირდება ავთანდილს არგუმენტი, რომ ვარდი უმზეოდ ჭკნება?*

ა) ტარიელს თუ ვეღარ დაეხმარება, ავთანდილის სიცოცხლე აზრს დაკარგავს.

ბ) ტარიელს თუ ვეღარ დაეხმარება, ავთანდილის სული ჯოჯოხეთში მოხვდება.

გ) ტარიელს თუ ვეღარ დაეხმარება, მეფის მოღალატედ ჩაითვლება.

დ) ტარიელს თუ ვეღარ დაეხმარება, სატრფოს სამუდამოდ დაკარგავს.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 12. მეფის მიმართ ავთანდილის *რა* დამოკიდებულება ჩანს სტრიქონში: „რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა“?

ა) მლიქვნელობა.

ბ) რიდი.

გ) უპატივცემულობა.

დ) შიში.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 13. *რა აზრის გასამყარებლად იყენებს ავთანდილი იმ არგუმენტს, რომ საჭირო არ არის* „უსარგებლო ცრემლთა დენა“?

ა) განგება კეთილია და ბოროტება დამარცხდება.

ბ) განგება მუდმივად სიკეთეს გვთავაზობს.

გ) განგებას უბრძოლველად არ უნდა დაემორჩილო.

დ) განგების ნება აუცილებლად ასრულდება.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 14. *რომელი* სტრიქონი გამოხატავს აზრს, რომ რაინდი ყველანაირი გასაჭირისათვის მზად უნდა იყოს?

ა) „აწ წასვლა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა“.

ბ) „მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად“.

გ) „მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა“.

დ) „წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა“.

დაბრუნება ტექსტზე

(1) **15. VIII სტროფის მიხედვით, *რას* მიიჩნევს ავთანდილი საკუთარ დანიშნულებად?**

ა) ამქვეყნიური, მიწიერი სიყვარულის საშუალებით უნდა მიბაძოს ღვთიურ მიჯნურობას.

ბ) დაბრკოლებების მიუხედავად, სატრფოს დავალება პირნათლად უნდა შეასრულოს.

გ) თავგანწირულად უნდა ემსახუროს ხელმწიფისა და ქვეყნის ინტერესებს.

დ) რაც მისთვის ღვთიურ განგებას დაუწესებია, მას თავი არ უნდა აარიდოს.

დაბრუნება ტექსტზე

(1) **16. IX სტროფის მიხედვით, *როდის* შეიძლება უთხრას მეგობარმა საყვედური ავთანდილს ფიცის გატეხისათვის?**

ა) ბრძოლის ველზე.

ბ) პირველივე შეყრისას.

გ) საიქიოში შეყრისას.

დ) ქაჯეთის ციხესთან.

დაბრუნება ტექსტზე

(1) 17. *როგორახასიათებს ეს ტექსტი ავთანდილს?*

ა) როგორც მეფის ნების მორჩილ და მეგობრისათვის თავდადებულ ადამიანს.

ბ) როგორც მიჯნურის ერთგულ და მეფის ნების მორჩილ ადამიანს.

გ) როგორც სამშობლოს ერთგულ და მიჯნურის ნების მორჩილ ადამიანს.

დ) როგორც ღვთის ნების მორჩილ და მეგობრისათვის თავდადებულ ადამიანს.

დაბრუნება ტექსტზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ასაბუთებს ავთანდილი წასვლის აუცილებლობას (ყურადღება მიაქციეთ ავთანდილის მსჯელობას სიცრუისა და მეგობრობის შესახებ).
- ჩამოაყალიბეთ ავთანდილის პოზიცია განგებასთან დაკავშირებით (ყურადღება მიაქციეთ მის მსჯელობას ღვთის ნების შესახებ).
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტზე

2.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“:

რაჟა სარჩიმელია... ტურასავით დაძრწოდა, ეძებდა თუთაშხიას. რა თქმა უნდა, აქა-იქ კიდევ შემორჩა ფხიზელი და საღად მოაზროვნე კაცები. სარჩიმელია მათთანაც მივიდა პაემანის თხოვნით... ბოლოს, თუთაშხიას ალბათ მობეზრდა, ან სხვა რამ მოსაზრებით იხელმძღვანელა და ყაჩაღს შეხვედრის დრო და ადგილი ბანძაში, უსინათლო მორდეხის ქოხში დაუნიშნა... სამი დღე-ღამე ალოდინა სარჩიმელია თუთაშხიამ. ჩანს, სადმე ახლომახლო ტრიალებდა. შესაძლებელ ხაფანგს ზვერავდა. ამ ხნის მანძილზე მორდეხმა მხოლოდ ერთხელ დასძრა კრინტი – მოვაო – უთხრა ყაჩაღს, როცა მოთმინების დაწყვეტა შეატყო.

თუთაშხია რომ შემოვიდა, სარჩიმელიას ეძინა. მის მოსვლამდე მორდეხმა ყაჩაღის თოფისა და რევოლვერების ლულებიდან ვაზნები ამოიღო, მაგიდაზე დადო. თუთაშხიამ ნაბადი მოიხადა, ჯორკოზე ჩამოჯდა. მორდეხმა ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა, შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო. ყაჩაღმა წამოიწია, თვალები მოისრისა და თქვა:

– გამარჯობა, დათა-ბატონო, მარა წასვლას ვაპირებდი, დღეს რომ არ მოსულიყავი კიდევ.

თუთაშხიამ თავი დააქიცინა. ყაჩაღი ვერ მიხვდა, სალმის პასუხი იყო ეს დაქიცინება, თუ კიდევ სხვას ნიშნავდა რასმე. სარჩიმელიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავი რიხიანად დაეჭირა, მაგარი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა თუთაშხიაზე...

– ერთმანეთთან მტრობა და უთანხმოება, დათა თუთაშხია, არც ერთს მოგვიტანს კარგს და არც მეორეს. მტერი გვყავს ორივეს ერთი და ორივე ერთად რომ მივაკითხავდეთ, აჯობებს, მგონია მე. – სარჩიმელია... დადუმდა, დათას რეაქციას მოუცადა, მაგრამ პასუხი კვლავ არ იყო.

ჩანს, სწორედ აქ მიხვდა ყაჩაღი, რომ სათქმელს საჭირო ფორმა ვერ გამოუნახა. შეცბა.

– დათა-ბატონო, სახლ-კარი გადაგიწვეს ნაკაშიებმა. თუ გიპოვეს, მოგკლან იქნება, კიდევაც. ფული მქონდა სოხუმში მიბარებული ერთ ქალთან. წაიღეს ნაკაშიებმა ის. შენ რომ სახლ-კარი გქონდა, ასს და მეტს ააშენებს ის ფული, იმდენია იქ!.. დათა-

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ბატონო, შენს მეტს არა-კაცს არ დაუჯერებენ ნაკაშიები. ამაღებინე ის ჩემი ფული და ნახევარი შენი იქნება მაშინ.

თუთაშხიას მხოლოდ ახლა დაეტყო ღიმილის მაგვარი რაღაც. ან იქნებ მხოლოდ ნაპერწკალმა გაურბინა თვალებში. სარჩიმელიამ იგრძნო, რომ მისი რიხიანი ლაპარაკი დიდი ხანია ხვეწნად იქცა, თუთაშხია ნაკაშიებთან არ წაჰყვებოდა, მაგრამ ერთი სიტყვის გაგონება მაინც ღირსებოდა!

დათა თუთაშხიამ ხმა ამოიღო:

– წადი ახლა შენს გზაზე, რაჟა, ბიძიკო.

მორდეხმა მაგიდაზე ხელები მოაფათურა, ლულებიდან ამოღებული ვაზნები ყაჩაღს გაუწოდა. სარჩიმელიამ გამოართვა, ცოტა ხანს იჯდა, რაღაცას ფიქრობდა. მერე იარაღი აისხა, ქოხიდან გავიდა...

მეზობლის ძაღლებმა ყეფა ატეხეს – ჯერ ახლოს, მერე შორს. მალე სიჩუმე ჩამოდგა.

ქოხში ისაკი შემოვიდა – მორდეხის შვილიშვილი... განჯინა გამოაღო, ვახშმის გაწყობას შეუდგა...

დათა თუთაშხია ცეცხლს ჩააცქერდა და თქვა:

– მორდეხაი-ბატონო, შენით ცხოვრებას რომ იწყებდი, რანაირი იყო მაშინ შენი გაგება?

– საშოვარი და შოვნა.

– მერე?

– მივხვდი მერე, არაფერი რომ არ იყო ესეც, მარა სხვაც რომ ვერ ვნახე უკეთესი საქნელი, მივყევი ბოლომდე... ფუჭად წავიდა ყველაფერი. – მორდეხი დაფიქრდა და დასძინა: – რაღა მახსოვს იქიდან ახლა, თუ იცი? მარტვილის ბაზარში ერთხელ ბიჭს თხა ჰყავდა გამოყვანილი. ისე დაძენძილ-დაფლეთილი ტანისამოსი სხვა დროს არ მინახავს არსად, იმ ბიჭს რომ ეცვა. ქვრივი დედაბერი ევაჭრებოდა ვიღაც – სახადმა ოჯახი ამომიწყვიტა, შვილიშვილი დამრჩა. ძუძუს ბავშვი, მისთვის მინდა ეს თხა, დედაშვილობას გაფიცებ, სამ აბაზად მომეციო. მესამედი ფასი იყო იმ თხის ის სამი აბაზი. არაფრის გულისთვის არ თმობდა ბიჭი. მე იქ იმისთვის ვიყავი, რომ იაფად ნაყიდ ჩოხას ვყიდდი ერთს. ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს, თვალებში მაქვს ახლაც და კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მიცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად. მომბაძა მე და მიცა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

თუთაშხიამ თვალი უსინათლო მორდეხზე გადაიტანა, გაიღიმა, არაყი დაისხა.

– ვცადე მაგ მე. ბევრჯერ ვცადე მაგ მე. იცი შენ ეს.

– რაი, მერე?

– ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა, სწორედ. მე თუ არა, სხვას გახადა, მაინც.

– რომ არ ჩაგეცვა მისთვის, გახდა თუ აგცდებოდათ ან შენ და ან იმ სხვას?

სიჩუმე ჩამოდგა. მერე თუთაშხიამ მიუგო:

– არ მიფიქრია მაგაზე, – და არაყი გადაკრა...

ერთი თვის თავზე თუთაშხიამ, შეთანხმებისამებრ, მორდეხის ქოხის კარი ისევ შეაღო. სტუმარმა სალამი თქვა, დაჯდა... ცოტა ხნის შემდეგ თუთაშხიამ ხმადაბლა ჰკითხა:

– მორდეხ-ბატონო, როგორ მოიქცეს კაცი, როცა აღარ იცის, რა ქნას და რა აკეთოს? რას მეტყვი შენ.

– მასეთი კაცებისთვის თქვენს სარწმუნოებას სხვაზე უკეთესი სამკურნალო აქვს – მონასტერი!

დათამ თავი გაიქნია:

– ყველა სარწმუნოებაში და ჩვენს სახარებაშიც მარტო ის მწამს და მომწონს, ასეთი და ასეთი უნდა იყოს ადამიანიო, რომ წერია. დანარჩენი, მე თუ მკითხავს კაცი, არ ვარგა იქ. საკვირველი ის არის სწორედ, იმ უვარგისი დანარჩენისთვის რომ შედიან მონასტერში ბერად. ისე, კაი საქმის საკეთებლად ერისკაცობა ჯობს, ნამდვილია ეს. არ შევდგები იქ. წავალ მე.

– სად?

– ისეთი და იმდენი მოხდა ჩემს ახლომახლოს ადრეც და ბოლო ხანებშიც, რომ ვერ გამოვიტანე აზრი, რა ვქნა და როგორ ვიყო მერე. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შემიძლია სხვაფრად. წავალ, გული უნდა გადავაყოლო რამეს...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. დათა თუთაშხიას *რა* თვისება ჩანს მის საქციელში: „სამი დღე-ღამე ალოდინა სარჩიმელია“?

ა) შემწყნარებლობა.

ბ) თავმდაბლობა.

გ) პატივმოყვარეობა.

დ) წინდახედულობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **4.** ***ვის*** **მიმართ გამოხატავს უნდობლობას მორდეხი:** „მორდეხმა ყაჩაღის თოფისა და რევოლვერების ლულებიდან ვაზნები ამოიღო, მაგიდაზე დადო“**?**

ა) ზოგადად ადამიანთა მიმართ.

ბ) დათა თუთაშხიას მიმართ.

გ) რაჟა სარჩიმელიას მიმართ.

დ) ზოგადად ყაჩაღთა მიმართ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **5. ტექსტის რომელ მონაკვეთშია გამოყენებული შედარება?**

ა) „შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო“.

ბ) „ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა“.

გ) „მივიდა პაემანის თხოვნით“.

დ) „სარჩიმელია... ტურასავით დაძრწოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. ტექსტის *რომელ* მონაკვეთში ჩანს, რომ თუთაშხია აგდებულად უყურებს სარჩიმელიას?

ა) „სარჩიმელიამ იგრძნო, რომ... თუთაშხია ნაკაშიებთან არ წაჰყვებოდა“.

ბ) „სამი დღე-ღამე ალოდინა... შესაძლებელ ხაფანგს ზვერავდა“.

გ) „დათა-ბატონო... წასვლას ვაპირებდი, დღეს რომ არ მოსულიყავი კიდევ“.

დ) „დათა თუთაშხიამ ხმა ამოიღო: – წადი ახლა შენს გზაზე, რაჟა, ბიძიკო“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. *რას* ითხოვდა რაჟა სარჩიმელია დათა თუთაშხიასაგან?

ა) სახლ-კარი გადაეწვათ ნაკაშიებისათვის.

ბ) ერთად ამოეხოცათ ნაკაშიების ოჯახი.

გ) დახმარებოდა ნაკაშიებისაგან ფულის დაბრუნებაში.

დ) სოხუმში წაჰყოლოდა ნაკაშიების დასარბევად.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რა საშიშროება ემუქრებოდა დათა თუთაშხიას ნაკაშიებისაგან?

ა) ფულის წართმევა.

ბ) ოჯახის დაწიოკება.

გ) სახლ-კარის გადაწვა.

დ) სასიკვდილოდ გამეტება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. *რის* გამო სურდა სარჩიმელიას დათა თუთაშხიას მეშვეობით ნაკაშიებთან დაკავშირება?

ა) ნაკაშიებმა რაჟა სარჩიმელიას სახლ-კარი გადაუწვეს და მოკვლითაც ემუქრებოდნენ.

ბ) ნაკაშიებმა დათა თუთაშხიას სახლ-კარი გადაუწვეს და მოკვლითაც ემუქრებოდნენ.

გ) ნაკაშიებმა სოხუმში ერთ ქალს დათა თუთაშხიას ფული წაართვეს.

დ) ნაკაშიებმა სოხუმში ერთ ქალს რაჟა სარჩიმელიას ფული წაართვეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. *რა მომენტში მიხვდა სარჩიმელია, რომ თუთაშხია არ დათანხმდებოდა მის თხოვნას?*

ა) „თუთაშხიას მხოლოდ ახლა დაეტყო ღიმილის მაგვარი რაღაც“.

ბ) „თუთაშხიამ ნაბადი მოიხადა, ჯორკოზე ჩამოჯდა“.

გ) „ყაჩაღი ვერ მიხვდა, სალმის პასუხი იყო ეს დაქიცინება, თუ კიდევ სხვას ნიშნავდა“.

დ)„სარჩიმელიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავი რიხიანად დაეჭირა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. დათა თუთაშხიას რა თვისება ვლინდება რაჟა სარჩიმელიასთან საუბრის ეპიზოდში?

ა) დათა უღირს საქციელს არ იკადრებს.

ბ) დათა ქალის გაძარცვას არ იკადრებს.

გ) დათა უდანაშაულოს მოკვლას არ იკადრებს.

დ) დათა უმწეოს დაჩაგვრას არ იკადრებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. *როგორი* განწყობილებით დატოვა რაჟა სარჩიმელიამ მორდეხის სახლი?

ა) გახარებულმა.

ბ) იმედგაცრუებულმა.

გ) გამხნევებულმა.

დ) შეშინებულმა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. *რა აზრს გამოხატავს მორდეხის მიერ მოყოლილი ამბავი ღარიბი ბიჭის შესახებ?*

ა) სიკეთეს რომ გამოიჩენ ადამიანის მიმართ, ამით ადამიანების ზნეობაზე ვერ იმოქმედებ.

ბ) სიკეთეს რომ გამოიჩენ ადამიანის მიმართ, ამით სამშობლოს კეთილდღეობას შეეწევი.

გ) სიკეთეს რომ გამოიჩენ ადამიანის მიმართ, ის აუცილებლად ბოროტებით გიპასუხებს.

დ) სიკეთეს რომ გამოიჩენ ადამიანის მიმართ, მასაც გაუჩნდება სიკეთის გაკეთების სურვილი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. დათა თუთაშხიას აზრით, რა მოჰყვა მის მიერ უანგაროდ სიკეთის კეთებას?

ა) საზოგადოების გაკეთილშობილება.

ბ) საზოგადოების გულგრილობა.

გ) სიკეთის გამრავლება.

დ) ბოროტების გამრავლება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **15. უსინათლო მორდეხის *რა* თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში?**

ა) ყოვლისმომცველი სიხარბე.

ბ) დაუძლეველი თავმომწონეობა.

გ) უჩვეულო თავმდაბლობა.

დ) ცხოვრებისეული გამოცდილება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **16. *რა შეხედულება აქვს დათა თუთაშხიას ბერული და საერო ცხოვრების წესის შესახებ?***

ა) საქვეყნო საქმის კეთება თანაბრადაა შესაძლებელი ბერობითაც და ერისკაცობითაც.

ბ) საქვეყნო საქმის კეთება ბერობითაც შეუძლებელია და ერისკაცობითაც.

გ) საქვეყნო საქმის კეთება ერისკაცობით უფროა შესაძლებელი, ვიდრე ბერული ცხოვრებით.

დ) საქვეყნო საქმის კეთება ბერული ცხოვრებით უფროა შესაძლებელი, ვიდრე ერისკაცობით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **17. *რას* გულისხმობს დათა, როდესაც ამბობს: „არ შემიძლია სხვაფრად“?**

ა) დათას არ შეუძლია ცხოვრება გულგრილ საზოგადოებაში და სურს ყველაფერს მოშორდეს და გული გადააყოლოს რამეს.

ბ) დათას არ შეუძლია აიტანოს იმ ადამიანთა უმადურობა, რომლებმაც სიკეთეზე ბოროტებით უპასუხეს ან სხვას გაუკეთეს ბოროტება.

გ) დათას არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ ანგარიში არ გაუწიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიღებულ წესსა და ტრადიციას.

დ) დათას არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ არ ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი დანიშნულება და ცხოვრების აზრი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი დათა თუთაშხიას მხატვრულ სახეს.
- იმსჯელეთ მორდეხის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული (ყურადღება მიაქციეთ ავტორის თხრობის მანერას).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე